

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
„თავი I

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი
თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
შემოსავლები	28730798	31209653	39138741
გადასახადები	13650118	13545000	18238741
გრანტები	14426977	16973153	20000000
სხვა შემოსავლები	653703	691500	900000
ხარჯები	27926398	31680250	39654528
შრომის ანაზღაურება	11870504	12365340	14535350
საქონელი და მომსახურება	4654836	5273225	5888126
სუბსიდიები	7401421	9324615	11095315
გრანტები	24680	5000	6000
სოციალური უზრუნველყოფა	2707863	2933380	4104100
სხვა ხარჯები	1267094	1778690	4025637
საოპერაციო სალდო	804400	-470597	-515787
არაფინანსური აქტივების ცვლილება	362977	530750	648272
ზრდა	378847	530750	648272
კლება	15870	0	0
მთლიანი სალდო	441423	-1001347	-1164059
ფინანსური აქტივების ცვლილება	441423	-1001347	-1164059
ზრდა	441423	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	441423	0	0



კლება	0	1001347	1164059
ვალუტა და დეპოზიტები	0	1001347	1164059
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0
კლება	0	0	0
ბალანსი	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

მუხლი 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2023 წლის	2024 წლის	2025 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
შემოსულობები	28746668	31209653	39138741
შემოსავლები	28730798	31209653	39138741
არაფინანსური აქტივების კლება	15870	0	0
გადასახდელები	28305245	32211000	40302800
ხარჯები	27926398	31680250	39654528
არაფინანსური აქტივების ზრდა	378847	530750	648272
ვალდებულებების კლება	0	0	0
ნაშთის ცვლილება	441423	-1001347	-1164059

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

თავი II

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები
 განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები **39138741** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

	2023 წლის	2024 წლის	2025 წლის
--	-----------	-----------	-----------



დასახელება	ფაქტი	გეგმა	გეგმა
შემოსავლები	28730798	31209653	39138741
გადასახადები	13650118	13545000	18238741
გრანტები	14426977	16973153	20000000
სხვა შემოსავლები	653703	691500	900000

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

მუხლი 4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები
 განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები **18238741** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

დასახელება	2023 წლის	2024 წლის	2025 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
გადასახადები	13650118	13545000	18238741
საშემოსავლო გადასახადი	13650118	13545000	18238741
ქონების გადასახადი	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

მუხლი 5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები
 ფინანსური დახმარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს **20000000** ლარი.

თანხა ლარებში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
გრანტები	14426977	16973153	20000000
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები	26977	0	0
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	0	0	0
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	14400000	16973153	20000000
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	14400000	16973153	20000000
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

მუხლი 6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



დასახელება	2023 წლის	2024 წლის	2025 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
სხვა შემოსავალი	653703	691500	900000
შემოსავლები საკუთრებიდან მ.შ.	643341	691500	900000
პროცენტები	643241	691500	900000
დივიდენდები	0	0	0
რენტა	100		0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	7100	0	0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4800	0	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	2300		0
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	3262	0	0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

თავი III

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები
 განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები **39654528**
 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის	2024 წლის	2025 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
ხარჯები	27926398	31680250	39654528
შრომის ანაზღაურება	11870504	12365340	14535350
საქონელი და მომსახურება	4654836	5273225	5888126
სუბსიდიები	7401421	9324615	11095315
გრანტები	24680	5000	6000



სოციალური უზრუნველყოფა	2707863	2933380	4104100
სხვა ხარჯები	1267094	1778690	4025637

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.

მუხლი 8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ა) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **648272** ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
01 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	87981	23000	103000
02 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	68402	289700	380372
05 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	22031	8000	20000
06 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	66900	32000	15000
08 00	ზემო აფხაზეთში – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა	1688	2500	4000
11 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	83806	111000	98500
13 00	სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა	0	0	0
14 00	იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა	0	0	0
15 00	აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა	0	0	0
18 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	40661	47150	17000
19 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	7378	17400	10400
	სულ	378847	530750	648272

ბ) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება თანდართული რედაქციით:



დასახელება	2023 წლის	2024 წლის	2025 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
არაფინანსური აქტივები	15870	0	0
ძირითადი აქტივები	15870	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

მუხლი 9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	18065865	20338750	24456102
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	18065865	20337550	24456102
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	18065865	20120550	24256102
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	217000	200000
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობასაერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	1200	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1694256	1852280	1548777
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	457166	530600	526688
70421	სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან, ვეტერინარული, მცენარეთა დაავ. საწინააღმდეგო და სხვა მომსახურება	457166	530600	526688
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1237090	1321680	1022089
707	ჯანმრთელობის დაცვა	1846402	2085000	4162705
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობ. და აპარატები	0	0	0
7072	ამბულატორიული მომსახურება	1003270	1155000	1740000



7073	სავადმყოფოების მომსახურება	0	0	0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	0	0	1000000
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	843132	930000	1422705
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4628483	5435650	6151756
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	285945	340700	362582
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	3441493	3772550	4530721
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	628352	1024700	1182091
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება	272693	297700	76362
7086	სხვა სახის არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0	0	0
709	განათლება	810139	847640	720860
7093	პროფესიული განათლება	0	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	810139	847640	720860
710	სოციალური დაცვა	1260100	1651680	3262600
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0	0	0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0	0	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1260100	1651680	3262600
	სულ:	28305245	32211000	40302800

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

თავი IV

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საოპერაციო და
მთლიანი სალდო (პროფიციტი/დეფიციტი)

დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
საოპერაციო სალდო	804400	-470597	-515787



მთლიანი სალდო	441423	-1001347	-1164059
---------------	--------	----------	----------

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

მუხლი 11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივები განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-1164059) ლარის ოდენობით.

ა) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა **0** ლარის ოდენობით.

ბ) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება **1164059** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

ფინანსური აქტივების ცვლილება	2023 წლის	2024 წლის	2025 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
ზრდა	441423	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	441423	0	0
კლება	0	1001347	1164059
ვალუტა და დეპოზიტები	0	1001347	1164059

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

მუხლი 12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება **0** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

ვალდებულებების ცვლილება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის
			გეგმა
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0	0	0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	0	0

2025 წლის პირველი იანვრისათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ვალი არ გააჩნია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და მესამის შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
- მოსახლეობის სოციალური დაცვა
- განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
- აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის/ კავშირების აღდგენა
- საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- მოსახლეობის დასაქმების და ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა
- დევნილთა განსახლების ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება
- ფინანსური და არაფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა
- აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ხელშეწყობა

1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა, დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, პროგნოზულად ჯანმრთელობის შემდგომი გაუარესების მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნება, ეს გარემოება განსაზღვრავს გაცილებით მეტ მოთხოვნას სამედიცინო დახმარებაზე. დევნილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მოკლებულია საშუალებას მიიღოს დროული და სრულფასოვანი სამედიცინო დახმარება. უსახსრობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დიდი დაგვიანებით, დაავადებების გართულებული ფორმებით, რომელთა მკურნალობა სამომავლოდ უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

1.1. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა ამბულატორიული დახმარება

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შეტანილი ცვლილებები, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ამბულატორიულ სერვისებთან მიმართებაში. თუმცა ამ სერვისების დიდი ნაწილი მოსახლეობის მხრიდან მაინც ითვალისწინებს თანაგადახდას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მომართვიანობას.

პროგრამის მიზანია დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ჯანდაცვის პირველადი რგოლის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამა ითვალისწინებს მაღალტექნოლოგიური კვლევების (მაგნიტურ-რეზონანსული, კომპიუტერული, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიები და სცინტიგრაფია), სხვადასხვა კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების, ონკოპაციენტთა დამატებითი მომსახურებების, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობის, სტომატოლოგიური მომსახურების, რეაბილიტაციისა და აბილიტაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელია დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, გართულებათა პრევენცია, ცხოვრების ხარისხისა და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, რაც საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ძირითად მახასიათებლებზე.

1.1.1. ბავშვთა და მოზრდილთა რეაბილიტაცია



ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის, მათ შორის, შშმ პირების თანდაყოლილი დაავადებით ან ტრავმული დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება. მათი მაქსიმალური სოციალური ადაპტაცია და საზოგადოების დამოუკიდებელ და აქტიურ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობის ფორმირება. სარეაბილიტაციო მკურნალობა მოიცავს შერჩევითად (საჭიროებისამებრ) ფიზიკურ თერაპიას (მასაჟი, ვარჯიში), აპარატურულ ფიზიოთერაპიას, ჰიდროკინეზოთერაპიას.

1.1.2. კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევები

კლინიკურ-ლაბორატორიულ გამოკვლევები ისეთი თანამედროვე, მაღალეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო კვლევის მეთოდებია, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ დაავადებათა ადრეულ დიაგნოსტიკაში, მათ შორისაა დოპლეროგრაფია, ციფრული რენტგენოგრაფია, სპირომეტრია, ელექტროენცეფალოგრაფია, ექოკარდიოგრაფია, ართროექოსკოპია და ა.შ. ისინი მრავალი პათოლოგიის სადიაგნოსტიკოდ და მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება. ასევე ენდოსკოპიაც, რომელიც სხვადასხვა ორგანოთა სისტემის დაავადებათა დიაგნოსტიკის ყველაზე ზუსტი, ინფორმატიული და ხშირ შემთხვევაში აუცილებელი მეთოდია. ლაბორატორიულ გამოკვლევებს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა დაავადების სადიაგნოსტიკოდ თუ მდგომარეობის შესაფასებლად.

ქვეპროგრამის მიზანია ბენეფიციართა ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ცალკეულ კლინიკო-ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ სერვისებზე.

1.1.3. ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგია

დევნილთა კონტიგენტში პირის ღრუს დაავადებათა მაღალი დონე განსაზღვრავს გაცილებით მეტ მოთხოვნას სხვადასხვა სტომატოლოგიურ მომსახურებაზე.

ქვეპროგრამა წარმოდგენილია ორი კომპონენტით: ბავშვთა სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს 4-დან 16 წლამდე ასაკის პირების მკურნალობას (თერაპია, ქირურგია), ხოლო მოზრდილთა სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს მთლიანი ან ნაწილობრივი (ზედა და/ან ქვედა ყბის) კბილების მოსახსნელი პროთეზით მომსახურებას.

ქვეპროგრამის მიზანია: აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგიურ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.1.4. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დადასტურებული უშვილობის დიაგნოზის მქონე დევნილ ბენეფიციართა ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას უშვილობის მკურნალობისა და ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ თანამედროვე სერვისებზე.

1.1.5. აფხაზეთიდან დევნილთა მრავალპროფილური სკრინინგი

რეგიონებში არსებული ვითარების შესწავლა, დევნილებთან სამინისტროს ხელმძღვანელთა პერმანენტული შეხვედრები და სამედიცინო-სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგები ადასტურებს, რომ დევნილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ინდიკატორები არადამაკმაყოფილებელია, რაც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიზნით, მათ დაბალ აქტივობაზე მიუთითებს. ყოველივე მოითხოვს სამედიცინო-სოციალური პრობლემების დარეგულირებისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.

ქვეპროგრამის მიზანია თბილისსა და რეგიონებში, კერძოდ: სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, აჭარის, კახეთისა და შიდა/ქვემო ქართლის რეგიონებში დევნილი მოსახლეობის მოთხოვნისა და საჭიროებების საფუძველზე. პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვებით ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვადასხვა დარღვევათა ადრეული დიაგნოსტიკა და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა.



1.1.6. ონკოპაციენტთა სამედიცინო მომსახურება

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს იმ სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას, რომლებიც ძალიან ძვირადღირებულია, მაგრამ თანამედროვე ონკოლოგიაში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც განკურნების, ასევე პალიატიურ რეჟიმში. გარდა ქიმიო და სხივური თერაპიის თანადაფინანსებისა, ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოპაციენტების ჰორმონო, იმუნო და ტარგეტული თერაპიების თანადაფინანსებასაც. ეს სამკურნალო პრეპარატები არ კლასიფიცირდება როგორც ქიმიოპრეპარატები, თუმცა მათი გამოყენება ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის განუყოფელი ნაწილია. ამ ჯგუფის პრეპარატების მაღალი ფასის გამო პაციენტების გარკვეული ნაწილისათვის ისინი ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია. ონკოლოგიური დაავადებების დროულად გამოსავლენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ კვლევებს და ბიოფსიას, რომლის შედეგები გამორიცხავს ან ადასტურებს ჯანმრთელობისათვის საზიანო პროცესების არსებობას ადამიანის ორგანიზმში. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს იოდოთერაპიის თანადაფინანსებას.

ქვეპროგრამის მიზანია: დევნილი მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ონკოლოგიის მკურნალობასთან დაკავშირებულ სერვისებზე.

1.1.7. ბავშვთა აბილიტაცია

ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მენტალური განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა მაქსიმალური სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოების დამოუკიდებელ აქტიურ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობის ფორმირებაში. აბილიტაციის კომპონენტი ითვალისწინებს საჭიროების მიხედვით, ოკუპაციური თერაპიას, მეტყველების თერაპიას, ფსიქოთერაპიას და ქცევით თერაპიას.

ქვეპროგრამის მიზანია: ბენეფიციართა ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აბილიტაციურ მომსახურებაზე.

1.1.8. მაღალტექნოლოგიური კვლევები

მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მაგნიტურ-რეზონანსულ და კომპიუტერულ ტომოგრაფიას, ასევე პოზიტრონულ-ემისიურ ტომოგრაფიას (PET/KT) და სცინტიგრაფიას SPECT/CT, რომლებიც წარმოადგენენ კვლევის ყველაზე ინფორმატიულ მეთოდებს. აღნიშნული კვლევებით შესაძლებელია დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა, მკურნალობის შედეგის კონტროლი და დინამიკაში დაკვირვება. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიული გამოკვლევის (პეტ/კტ) დიაგნოსტიკის ყველაზე ძვირადღირებული მეთოდია, რომელიც მოიცავს ქსოვილების სტრუქტურისა (კომპიუტერული ტომოგრაფია, კტ) და მათი ფუნქციის (პოზიტრონემისიური ტომოგრაფია, პეტ) კვლევას. პეტ/კტ იძლევა საშუალებას დროულად დადგინდეს იმ ქსოვილის მდებარეობა, რომლის ფუნქციონირებაშიც აღინიშნება ნორმიდან გადახრა, ასევე სცინტიგრაფია დაავადების უფრო სწორი და ზუსტი ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მაგნიტურ-რეზონანსულ, კომპიუტერულ, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიულ (PET/KT) გამოკვლევებისა და სცინტიგრაფიის თანადაფინანსებას.

1.1.9. მხედველობის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა

ქვეპროგრამა წარმოდგენილია ორი კომპონენტით: მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტი ხელს შეუწყობს დევნილი მოსახლეობის მხედველობის ორგანოთა დაავადებების ადრეულ დიაგნოსტიკას. ხოლო მეორე კომპონენტით გათვალისწინებულია თვალის რეფრაქციული ანომალიების კორექცია ექსიმერული ლაზერით.

ქვეპროგრამის მიზანია: დევნილი მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა თვალის დაავადებათა კვლევის ამბულატორიულ და მკურნალობის ქირურგიულ სერვისებზე.

1.2. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა სტაციონარული დახმარება

მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო და, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების



დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს სტაციონარულ სამედიცინო სერვისებზე ბენეფიციართა მხრიდან თანაგადახდას. დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის შესაბამისი თანხების მოძიება დიდ სირთულეს წარმოადგენს, რაც ხელს უშლის მათ დროული და ადეკვატური სამედიცინო დახმარების მიღებას და ზრდის შესაძლო გართულებების განვითარების რისკს. საბოლოო ჯამში აღნიშნული გარემოება უარყოფითად აისახება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მახასიათებლებზე. შესაბამისად, პროგრამის მიზანია დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა სტაციონარულ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

პროგრამა მოიცავს დიაგნოსტიკისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსებას, ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული მომსახურებებისა და საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსებას ქვეპროგრამებით ითვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში.

1.2.1. დიაგნოსტიკისა და სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსება

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბენეფიციართა მხრიდან გადახდა, მაინც რჩება თანადაფინანსების თანხა, რომელიც ფინანსურ ტვირთად აწევს მოწყვლად კატეგორიებს, განსაკუთრებით კი – აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებს.

ქვეპროგრამის მიზანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა ჰოსპიტალური მომსახურების, ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობისა და სტაციონარულ პირობებში დიაგნოსტიკის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.2.2. ჰიგიენური სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დანიშნულების საგნებზე, ინდივიდუალური დაცვის და ავადმყოფთა მოვლის საშუალებებზე

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.2.3. საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსებას იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დარგის პროფესიული ასოციაციის ან ექსპერტის წერილობითი დასკვნის საფუძველზე მოთხოვნილი სამედიცინო სერვისის მიღება საქართველოში შეუძლებელია საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში სერვისის არარსებობის გამო ან/და პირისათვის სერვისის/საჭიროების მიღება რეკომენდებულია საზღვარგარეთ.

ქვეპროგრამის მიზანია პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.2.4. ვეტერანთა რეაბილიტაცია და დახმარება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ომის ვეტერანთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას და ადაპტაციას.

1.2.5. განსაკუთრებულ შემთხვევათა და პათოლოგიათა მკურნალობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გაფანტული სკლეროზის, რევმატოიდული ართრიტის, სკლეროდერმიის, მიასთენიის, გენერალიზირებული, ეპილეფსიის და სხვა მძიმე პათოლოგიათა მკურნალობის თანადაფინანსებას.³

1. 3. სამედიცინო პერსონალის გადამზადება

პროგრამა ითვალისწინებს დევნილი ექიმ-სპეციალისტთა გადამზადებას პირველადი ჯანდაცვის რგოლისათვის კრიტიკულ ქულების მინიჭების მიზნით.



1.4. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მედიკამენტებით მხარდაჭერა

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებები ადგილზე უზრუნველყოფენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის პირველადი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. პაციენტთა მომართვიანობიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებები მუდმივად საჭიროებენ მედიკამენტებით მხარდაჭერას.

ქვეპროგრამის მიზანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ქრონიკული დაავადებების გართულებების პრევენცია.

1.5. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურება

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის მეტად მოთხოვნადი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამედიცინო სერვისის ის ცალკეული სახეები, რაც სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება, რადგან რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ჰოსპიტალური (სტაციონარული) მომსახურების დაფინანსებას, ხოლო ამბულატორიული კომპონენტით ფინანსური მხარდაჭერა ვრცელდება მხოლოდ ონკოპაციენტებზე.

ქვეპროგრამის მიზანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა სამედიცინო მომსახურების (ექიმის კონსულტაცია და ამბულატორიული კვლევები) დაფინანსების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს პაციენტთა დროულ დიაგნოსტიკასა და საჭიროების შემთხვევაში შემდგომი მკურნალობის დაგეგმვას.

1.6. სარიტუალო მომსახურების ანაზღაურება

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გარდაცვლილი, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ბენეფიციართა სარიტუალო მომსახურება და ტრანსპორტირება ენგურის ხიდამდე (რუხი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს სხვადასხვა ლოკაციებიდან გარდაცვლილის ტრანსპორტირებას, ჩასასვენებელით უზრუნველყოფას, სუდარა (ბალიში, გადასაფარებელი) და სხვა თანხმლები მომსახურების გათვალისწინებით. ავტოკატაფალკის მომსახურება;

ქვეპროგრამის მიზანია ოკუპირებულ აფხაზეთში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეთა მორალური, სოციალური და ფინანსური მხარდაჭერა.

1.7. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების გამართული საქმიანობისა და ადგილზე გადაუდებელი სამედიცინო სერვისების მისაღებად მნიშვნელოვანია დაწესებულებების აღჭურვა სამედიცინო საგნებით, ინვენტარით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და სხვა. განსაკუთრებულად მძიმე პაციენტები, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებლად სამედიცინო დახმარების გაწევას, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მეშვეობით გადმოდიან კონტროლირებად ტერიტორიაზე და იღებენ შესაბამის მომსახურებას. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები, სხვადასხვა მიზეზების (უხარისხო საწვავის თუ სხვა) გამო გამოსულია მწყობრიდან, ადგილზე ვერ ხერხდება მათი შეკეთება, შესაბამისი სერვის ცენტრის არარსებობის გამო. შესაბამისად, აუცილებელია მათი გადმოყვანა კონტროლირებად ტერიტორიაზე, დიაგნოსტიკა და შეკეთება/გამართვა.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რაც განაპირობებს მოსახლეობისთვის მაღალხარისხინი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას.



1.8. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის უმნიშვნელოვანესია ადგილზე ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება, რაც უწყვეტი სამედიცინო განათლებით და მუდმივი განვითარების გზით მიიღწევა. გადაუდებელი მდგომარეობებისა და სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა პირველადი ჯანდაცვის სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს პაციენტთა დროულ და სწორ დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

ქვეპროგრამის მიზანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მედიცინის თანამედროვე მიდგომების თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, გადამზადების მოკლევადიან სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს საშუალო სამედიცინო პერსონალისათვის პროფესიული განვითარების ამაღლებას.

1.9. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა რეფერალური მომსახურების თანადაფინანსება

ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც არ არიან ჩართული საქართველოს ჯანდაცვით და სოციალურ პროგრამებში, სარგებლობენ რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით, რომელიც მოიცავს, როგორც გადაუდებელი და გეგმიური სამედიცინო შემთხვევების, ასევე სტაციონარული მომსახურების, მედიკამენტებისა და კლინიკურ-ლაბორატორიულ კვლევების ანაზღაურებას, განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში. არის გარკვეული შემთხვევები, როცა რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები სრულად ვერ ფინანსდებიან, ლიმიტის ამოწურვის, არასრულად დაფინანსების და სხვათა გამო. ასანაზღაურებელი თანხის მოსაძიებლად კი ბენეფიციარები ცდილობენ დამატებით მიმართონ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მათი საკითხი დაექვემდებაროს ხელახალ განხილვას და დაფინანსდნენ სრულად.

ამავე დროს, აფხაზეთში მუდმივად მცხოვრები პაციენტები, რომლებიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჩართულობით არიან გადმოყვანილი კონტროლირებად ტერიტორიაზე სამედიცინო მომსახურების მისაღებად, ან თვითდინებით მიმართეს ამა თუ იმ სამედიცინო დაწესებულებას და მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად ენგურის ხიდამდე მისვლას, იძულებული ხდებიან ისარგებლონ რეანიმობილის ან სასწრაფოს მანქანით და სპონსორის არარსებობის შემთხვევაში, გადაიხადონ ძვირადღირებული მომსახურების საფასური, რადგან მსგავსი მომსახურება არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამებით.

ქვეპროგრამის მიზანია რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე ბენეფიციარებისთვის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს ბენეფიციართა ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას.

1.10. სამედიცინო დაწესებულებების მოდერნიზაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მართვის უფლებით შემავალი სამედიცინო დაწესებულებების (შპს სამედიცინო ცენტრი „დიომედი“) ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დადგენილი სტანდარტის უზრუნველყოფა, ფუნქციონირების ხელშეწყობა.

2. მოსახლეობის სოციალური დაცვა

ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა,



ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ბენეფიციართა სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობა არის მძიმე, რისთვისაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო უზრუნველყოფს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვადასხვა პროგრამებით.

2.1. სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ბენეფიციარებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაცემას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით.

2.2. დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილი ბენეფიციართა საცხოვრებლით უზრუნველყოფაში მხარდაჭერას, ქირის თანხის ანაზღაურების გზით.

2.3. აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილი ბენეფიციართა ფულად დახმარებას.

2.4. აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანება/აბონირება

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილი ბენეფიციართა ოჯახებისათვის საცხოვრებელ ფართებზე გამრიცხველიანება/აბონირებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებას.

2.5. სოციალური სოლიდარობა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით სადღესასწაულო დღეებში/საჭიროების შემთხვევაში საჩუქრების/დახმარების (მათ შორის ჰუმანიტარული დახმარების) გადაცემას ბენეფიციართათვის.

2.6. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისას ზემო აფხაზეთიდან იგპ-თა სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს ზემო აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურად დაუცველი ოჯახების ოთხ წლამდე ბავშვებისთვის კვების პროდუქტებით და ჰიგიენის საგნებით ერთჯერადი დახმარების ვაუჩერის წესით დაფინანსებას; პენსიონერ და/ან უმუშევარ პედაგოგებისთვის ერთჯერად ფულად დახმარებას. დახმარების გაცემის წესი, ოდენობა, ბენეფიციართა კატეგორიები და შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით.

2.7. გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება

პროგრამის მიზანია ბენეფიციარების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის გზით.

3. განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია



განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას.

განათლების მიმართულებით ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასა და შესრულებაზე კონტროლს აფხაზეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხელს უწყობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის ქართულ საგანმანათლებლო სისტემასთან დაახლოებას, უმაღლესი განათლების მიღებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

კულტურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მოიცავს ქართულ-აფხაზეთი კულტურის, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფოლკლორის დაცვა-შენარჩუნებას, განვითარებასა და პოპულარიზაციას, აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსის წამორჩენასა და კულტურის სფეროში მოღვაწე დევნილი ხელოვანების მხარდაჭერას.

სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს სპორტის განვითარებასა და პოპულარიზაციას, ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. სპორტი სამშვიდობო პოლიტიკის გატარების მძლავრი და სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ინტეგრაციულ პროცესებში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

3.1. განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში მხარდაჭერას, არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირებას, პრობლემის აღმოსაფხვრელად პრიორიტეტების დასახვასა და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

3.2. განათლების ხელშეწყობა

მიზანია აფხაზეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება, აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მხარდაჭერას, აფხაზეთის ენის პოპულარიზაციას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო და აღმზრდელობით სფეროში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებას, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის, ინკლუზიური განათლებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობას, არაფორმალური დისტანციური სწავლების მხარდაჭერას, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში, სასტიპენდიო კონკურსებს, ახალგაზრდების წახალისებას, მოტივაციის გაზრდას და ტექნოლოგიური განათლების ხელშეწყობას.

3.3. აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერა

მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების მხარდაჭერა და მათი სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა.

3.4. წარმატებულ ხელოვანთა და სპორტსმენთა მხარდაჭერა

მიზანია კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და სპორტის სფეროს მხარდაჭერის გაძლიერება.

პროგრამა ითვალისწინებს ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის, ვიქტორ სანეევის სახელობის სტიპენდიისა და ვიტალი დარასელიას სახელობის სტიპენდიის განხორციელებას.



3.5. კულტურულ ფასეულობათა დაცვა და პოპულარიზაცია

მიზანია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია. აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობა კარგავს თავის ავთენტურობას და უნიკალურობას. მნიშვნელოვანია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა და შენარჩუნება; ქართველი და აფხაზი ხალხის საერთო ისტორიული მეხსიერების, ფაქტებისა და მოვლენების ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენა, გადაცემა მომავალი თაობებისათვის.

3.6. თეატრალური, სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

აფხაზეთის კულტურის, როგორც ერთიანი ქართული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილის თვითმყოფადობის შენარჩუნება გლობალური გამოწვევების ფონზე უაღრესად მნიშვნელოვანია, რაც ხელოვნების დარგში მოღვაწე შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის მხარდაჭერით მიიღწევა.

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებისათვის აქტუალური თემების სცენაზე წარმოჩენა, იძულებით გადაადგილებულ პირთა კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და მაყურებლის სულიერ განვითარებაზე ზრუნვა სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა, სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული სახელმწიფო ინტეგრირებული თეატრს „აზდაკის ბაღი“-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

ქართულ-აფხაზური მუსიკალური ხელოვნებისა და ქორეოგრაფიის განვითარება, მსოფლიო საგუნდო და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ წარმატებით ხორციელდება სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „აფხაზეთი“, სსიპ „გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელი“-სა, და ა(ა)იპ აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის შავნაბადა შემოქმედებითი საქმიანობით.

3.7. აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა

მიზანია ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარება და პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ფარგლებს გარეთ; პროგრამა ითვალისწინებს ქართულ-აფხაზური შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას, ხელოვანი ადამიანების საქმიანობის აქტუალიზაციას, კულტურის ტრადიციული და ახალი დარგების (საშემსრულებლო, ვიზუალური, შემოქმედებითი მიმართულებების და სხვა) გაძლიერებას, აფხაზეთის შესახებ ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას, კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობას, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოების, გამოფენებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებას, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობას.

3.8. სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა

მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობისა და აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების მხარდაჭერა, ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამა ითვალისწინებს სპორტული და ახალგაზრდული პროექტების ფინანსურ უზრუნველყოფას, თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოებას/წახალისებას, აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით მოასპარეზე სპორტული გუნდების/კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას.

3.9. აფხაზეთის შესახებ ისტორიული დოკუმენტების ბაზის შექმნა და გამოცემა

პროგრამის მიზანია აფხაზეთის შესახებ მატერიალური ფორმის ან/და ელექტრონულ მატარებელზე



გადატანილი ისტორიული დოკუმენტების მოძიება და ისეთი მასალებით შევსება, რომლებსაც აქვთ ისტორიული, რელიგიური, მეცნიერული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ღირებულება. ელექტრონული ბიბლიოთეკის სრულყოფის მიზნით დაგეგმილია ზემოაღნიშნული დოკუმენტების ასლების სახით სახელმწიფო შესყიდვა და ციფრულად ასახვა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მოძიებული მასალების საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია მათი გამოცემის უზრუნველყოფა.

4. აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის/კავშირების აღდგენა

კონფლიქტების მოგვარებისა და მდგრადი მშვიდობის დამყარების საფუძველი კონფლიქტის მხარეებს შორის შერიგებაა. ამისთვის კი საჭიროა დიალოგი, რომელიც ურთიერთდობის აღდგენისა და შერიგებისთვის აუცილებელ ნიადაგს ქმნის. ამ მიზნის რეალიზებისთვის და სამშვიდობო პოტენციალის სრულად ამოქმედებისთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების რესურსის ამუშავება. სამოქალაქო საზოგადოებას დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს დაგროვებული კონფლიქტის შესახებ, აქვს ურთიერთობა მეორე მხარესთან, მაგრამ ამ ყველაფრის გამოყენება სრულად არ ხდება.

პროგრამა ითვალისწინებს შერიგებაზე და ქართულ-აფხაზური საზოგადოების გაერთიანებაზე ორიენტირებულ ოთხ ძირითად განზომილებას-ჰუმანიტარული, ადამიანზე ორიენტირებული, სოციალური და ეკონომიური.

პროგრამის რეალიზება ხელს უწყობს კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერებას, პრიორიტეტული მნიშვნელობის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავებას სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობით, რაც მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

4.1. სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება

პროგრამის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ და იძულებით გადაადგილებულ პირებში სულიერების დონის ამაღლება, ტოლერანტული ფასეულობების განვითარება და პატრიოტული სულის გაღვივება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, აღჭურვა, რემონტი და სხვა ღონისძიებები. საკვირაო სკოლის, ილორის ტაძრის, კათარზისისა და სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა.

4.2. კომუნიკაციისა და ინფორმირების გაძლიერება

პრიორიტეტის მიზანია: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის დეოკუპაციისა და დევნილთა საკუთარ სახლებში ღირსეული დაბრუნების პროცესის საინფორმაციო მხარდაჭერა.

აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ინფორმაციის სისტემატიზაცია, არსებული და შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალის მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა. ახალი ამბების, რუბრიკების, დოკუმენტური მასალებისა და მიუკერძოებელი ანალიტიკური ინფორმაციების, საინფორმაციო-შემეცნებითი სიუჟეტების მომზადება აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებულ მოვლენებზე;

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროცესების საინფორმაციო უზრუნველყოფა;

აფხაზეთის მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობის, პროექტების, გეგმებისა და აქტივობების შესახებ დევნილი და არა მხოლოდ დევნილი მოსახლეობის ინფორმირებულობა.

იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის გარკვეული ეკონომიკური სერვისების მიწოდება, მათ შორის ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომელიც მოემსახურება აფხაზეთიდან იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ



4.3. სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება

პროგრამა შემუშავებულ იქნა ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საფუძველზე, რომლის მიზანია გამოყოფა ხაზებს მიღმა დარჩენილ მოსახლეობასთან დაახლოება, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესება, იზოლაციის შემცირება, პიროვნებისა და რეგიონალური უსაფრთხოების დაცვა.

1993 წლიდან აფხაზეთის საკითხი და დევნილი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაცია რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, რომლის მოგვარებაც მოითხოვს საზოგადოების ყველა ფენის დაინტერესებას და აქტიურ ჩართულობას. აღნიშნული პროცესი რომ გახდეს უფრო დინამიური, საჭიროა ისეთი ღონისძიებების ინიცირება და მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართულ – აფხაზურ საზოგადოებებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას და მათი ინტეგრაციის პროცესში უფრო აქტიურ ჩართულობას.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში პოზიტიური ცვლილებების უზრუნველყოფას, ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის კონსტრუქციული კომუნიკაციის გაძლიერებას, ნდობის აღდგენისა და შერიგების ხელშეწყობასა და სამშვიდობო პროცესების მხარდაჭერას. ასევე, საქართველოს ევროპული არჩევანის კონტექსტში თანაბარი სარგებლობების პერსპექტივების შექმნას, ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და დაცვის მხარდაჭერას, ქართველი და აფხაზი საზოგადოების თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობის გაზიარებას და საინტეგრაციო პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული პროგრამა მოიცავს სამშვიდობო პროცესების მიმართულებით საერთაშორისო საზოგადოების, დიასპორის, ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური სექტორის ცოდნისა და გამოცდილების მობილიზებას ნდობის აღდგენის, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში. პოსტკონფლიქტური ქართულ-აფხაზური საზოგადოების სამშვიდობო უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საინფორმაციო კამპანიები, კონკურსები, ვებინარები, სამშვიდობო დისკუსიები, კონფერენციები, კვლევები და სხვა.

ასევე, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის საფუძველზე სხვადასხვა არაფორმალური საგანმანათლებლო, პროფესიული, კულტურული და სხვა აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების პოსტკონფლიქტურ ადაპტაციას.

5. საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

5.1. საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, სტანდარტების შესაბამისი დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მომსახურება. საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოფენის მოწყობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის შევსება დოკუმენტებით მატერიალური სახით, საარქივო ფონდის დოკუმენტების ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება; აფხაზეთის საარქივო ფონდის დოკუმენტების, განურჩევლად მათი შენახვის ადგილისა (მათ შორის აფხაზეთის



საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების), აღრიცხვის, დაცვისა და შენახვის, აგრეთვე საქმისწარმოებაში არსებული წესების დაცვის კონტროლი და ზედამხედველობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებათა არქივებისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის სრულყოფა, კოორდინაცია, ნორმატიული და მეთოდური უზრუნველყოფა; აფხაზეთის საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე პერსპექტიულ-მიზნობრივი პროგრამებისა და მიმდინარე გეგმების შემუშავება. აფხაზეთის ა/რ საარქივო ფონდის ფორმირებისა და დაკომპლექტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გეგმური სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება. საარქივო ფონდის შემქმნელი დაწესებულებების არქივებისა და საქმისწარმოების სამსახურების თანამშრომელთათვის. კურსის დანიშნულებაა საარქივო საქმისა და საქმისწარმოების სფეროში მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, საარქივო საქმისა და საქმისწარმოების ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის გაცნობა, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა.

აფხაზეთის ა/რ ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა; აფხაზეთის ა/რ სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, არქივის სამმართველოში დაცული საარქივო ფონდის დაკომპლექტების ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა, დიგიტალიზაცია. ერთიანი ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნისა და ელექტრონული დოკუმენტაციის აფხაზეთის ა/რ არქივის სამმართველოს დაკომპლექტების წყარო-ორგანიზაციებიდან და აფხაზეთის საარქივო ფონდისთვის მიკუთვნებული დოკუმენტების მფლობელი სხვა პირებისგან მიღებული ელექტრონული დოკუმენტების აღწერის, აღრიცხვისა და დაარქივების ავტომატიზებული სისტემის შექმნა.

6. მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა

პრიორიტეტის მიზანია მიზნობრივი ჯგუფის (აფხაზეთიდან დევნილები და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირები) ჩართულობის ხელშეწყობა ქვეყნის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში, კერძოდ:

- დასაქმების/თვითდასაქმების ხელშეწყობა;
- სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა;
- სასოფლო-სამეურნეო სფეროში დახმარება;
- პროდუქტიული ეკონომიკური სერვისების მიწოდება;
- ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში სრულფასოვანი ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის, თანადაფინანსების გზით;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით აფხაზეთიდან დევნილთათვის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების შემუშავება-განხორციელება;
- სპეციფიკური სავაჭრო-ეკონომიკური ღონისძიებების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობენ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას.

7. დევნილთა განსახლების ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

დევნილების მნიშვნელოვანი რაოდენობა განთავსებულია განსახლების ობიექტებზე, რომელთა უმეტესობა საჭიროებს ინფრასტრუქტურულ მოწესრიგებას. ამ მიზნით ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები და ქვეპროგრამები, როგორცაა: დევნილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფა, დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა, აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარება, ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობა, დევნილთა განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა, დევნილთა მომსახურების მიზნით ცენტრების მოწყობა.

8. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება



კანონმდებლობითი საქმიანობის გააქტიურება. აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახელისუფლებო სტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას, მომავალი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და კონსტიტუციური საფუძვლების შემუშავებას. მჭიდრო საქმიანი კავშირების დამყარება ქვეყნის საკანონმდებლო და ცენტრალურ აღმასრულებელ სტრუქტურებთან. აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ მსოფლიო საზოგადოებისათვის სწორი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღრიცხვა, ამ უფლებების დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე. აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება. აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების და აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემების გადაწყვეტაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ჩართულობის ხარისხის ამაღლება. შერიგებისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებაში აქტიური მონაწილეობა. რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ანექსიის მამხილებელი მასალების მოძიება და პოლიტიკური შეფასება; ობიექტური სინამდვილის გასაჯაროება, სისტემური კონტაქტების უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მეგობარი სახელმწიფოების პოლიტიკური და აკადემიური წრეებისთვის; სამოქალაქო სექტორში მხარდამჭერთა მოძიება, მათი დახმარებით სეპარატისტული რეჟიმის არაღიარების პოლიტიკის გააქტიურება. დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში აქტიური ჩართულობა.

8.1. საკანონმდებლო საქმიანობა

საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, კონტროლი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.

9. ფინანსური და არაფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს. დევნილი მოსახლეობისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა.

9.1. ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება და სრულყოფა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.

დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით კომპეტენციის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.

9.1.1. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფა

ბიუჯეტის ფორმატის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმების დანერგვას და დაცვას.

ბუღალტრული აღრიცხვის ახალ საერთაშორისო სტანდარტებზე (IPSAS) დაფუძნებულ შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შექმნა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა.



9.1.2 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის აღრიცხვის ციფრული ტრანსფორმაციისა და დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის მართვა

პროექტებისა და პროგრამების მართვა, ასევე ბენეფიციარებისთვის საჭირო სერვისებით უზრუნველყოფა ციფრულ სივრცეში მნიშვნელოვნად ზრდის შედეგების ეფექტიანობასა და ამარტივებს დაგეგმვის პროცესს. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღნიშნული პროცესი ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და განვითარებას. ამ მიზნით პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით იგეგმება თითოეული უწყების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული იგპ-ებზე მორგებული პროგრამების/ქვეპროგრამების ერთიან ციფრულ სივრცეში მოქცევა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი დიჯიტალიზაციის პროცესი გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების მეტ ჩართულობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აქტივობებში და მონაცემების/ინფორმაციის მართვის პროცესში.

10. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება.

10.1. მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება; მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა; მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება. „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ – დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება. აფხაზეთის პრობლემატიკის სათანადო წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

მუხლი 14. ახალი ინიციატივები

თანხა ლარებში

პროგრამული კოდი	პროგრამის/ ქვეპროგრამის დასახელება	თანხა
01 02	აფხაზეთის შესახებ ისტორიული დოკუმენტების ბაზის შექმნა და გამოცემა	10000
05 03 21	მხედველობის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	80000
05 06 04	ჰიგიენური სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება	50000
05 06 11	ვეტერანთა რეაბილიტაცია და დახმარება	70000
05 06 12	განსაკუთრებულ შემთხვევათა და პათოლოგიათა მკურნალობის ხელშეწყობა	40000
05 07	სამედიცინო პერსონალის გადამზადება	40000
05 09	სამედიცინო დაწესებულებათა მოდერნიზაცია	1000000



06 04 28	განათლება მომავლისთვის	29500
06 04 29	ინოვაციური მიდგომები საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში	13000
06 04 30	ტექნოლოგიური განათლების ხელშეწყობა	7000
06 07 18	ვიტალი დარასელიას სახელობის სტიპენდია	15125
06 10 23	საგანმანათლებლო შემეცნებითი სემინარები	9000
06 10 24	ფორუმი „შეეხე ისტორიას“	9500
06 10 25	ცნობილი აფხაზების უცნობი სახეები (ისტორიულ-კულტურული მემსიერების ფრაგმენტები)	15600
06 11 06	სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული სახელმწიფო ინტეგრირებული თეატრი „აზდაკის ბაღი“	139570
11 13 14	ვეტერინარული მომსახურება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე	91096
18 02	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის აღრიცხვის ციფრული ტრანსფორმაციისა და დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის მართვა	31482
18 03 01	სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა	224048
18 03 02	სამეწარმეო/ბიზნეს სუბიექტების მხარდაჭერა	90000
18 06 02	მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობა	22000
18 10 03	საპილოტე პროგრამა – სანერგე მეურნეობა	77602
ჯამი:		2064523

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 20 მაისის კანონი №12-ს - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 27 ივნისის კანონი №16-ს - ვებგვერდი, 30.06.2025 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის 3 ნოემბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 07.11.2025 წ.

თავი VI

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით **40302800** ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში



კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
	ჯამი:	28305245	32211000	40302800
	მომუშავეთა რიცხოვნობა	425	359	404
	ხარჯები	27926398	31680250	39654528
	შრომის ანაზღაურება	11870504	12365340	14535350
	საქონელი და მომსახურება	4654836	5273225	5888126
	სუბსიდიები	7401421	9324615	11095315
	გრანტები	24680	5000	6000
	სოციალური უზრუნველყოფა	2707863	2933380	4104100
	სხვა ხარჯები	1267094	1778690	4025637
	არაფინანსური აქტივები	378847	530750	648272
01 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მასთან არსებული ორგანიზაციები	3976396	4299900	5140328
	მომუშავეთა რიცხოვნობა	71	71	71
	ხარჯები	3888415	4276900	5037328
	შრომის ანაზღაურება	3024907	3260275	3919828
	საქონელი და მომსახურება	811506	989925	1091500
	სოციალური უზრუნველყოფა	42133	7000	7000
	სხვა ხარჯები	9869	19700	19000
	არაფინანსური აქტივები	87981	23000	103000
01 01	საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება	3976396	4299900	5130328
	მომუშავეთა რიცხოვნობა	71	71	71
	ხარჯები	3888415	4276900	5027328
	შრომის ანაზღაურება	3024907	3260275	3919828
	საქონელი და მომსახურება	811506	989925	1081500
	სოციალური უზრუნველყოფა	42133	7000	7000



	სხვა ხარჯები	9869	19700	19000
	არაფინანსური აქტივები	87981	23000	103000
01 02	აფხაზეთის შესახებ ისტორიული დოკუმენტების ბაზის შექმნა და გამოცემა	0	0	10000
	ხარჯები	0	0	10000
	საქონელი და მომსახურება	0	0	10000
02 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	3411336	4295400	5031399
	მომუშავეთა რიცხოვნობა	51	51	51
	ხარჯები	3342934	4005700	4651027
	შრომის ანაზღაურება	1667137	1817615	2112200
	საქონელი და მომსახურება	783079	921685	1273374
	სუბსიდიები	839633	1247060	1244453
	სოციალური უზრუნველყოფა	14595	0	0
	სხვა ხარჯები	38490	19340	21000
	არაფინანსური აქტივები	68402	289700	380372
02 01	მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა	2510291	2973000	3782946
	მომუშავეთა რიცხოვნობა	51	51	51
	ხარჯები	2490974	2753300	3406574
	შრომის ანაზღაურება	1667137	1817615	2112200
	საქონელი და მომსახურება	783079	921685	1273374
	სოციალური უზრუნველყოფა	14595	0	0
	სხვა ხარჯები	26163	14000	21000
	არაფინანსური აქტივები	19317	219700	376372
02 05	ა(ა)იპ „სულიერი განვითარებისა და ეროვნული ფასეულობების დაცვის ცენტრი“	272693	297700	66362
	ხარჯები	272693	297700	66362
	სუბსიდია	260366	292360	66362



	სხვა ხარჯები	12327	5340	0
02 06	ა(ა)იპ„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი“	628352	1024700	1182091
	ხარჯი	579267	954700	1178091
	სუბსიდია	579267	954700	1178091
	არაფინანსური აქტივები	49085	70000	4000
05 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	2798082	3233500	5871805
	მომუშავეთა რიცხოვნობა	29	34	36
	ხარჯები	2776051	3225500	5851805
	შრომის ანაზღაურება	660417	873600	1279732
	საქონელი და მომსახურება	247162	264100	406568
	სუბსიდია	169316	190000	527705
	სოციალური უზრუნველყოფა	1606533	1800000	2780000
	სხვა ხარჯები	92623	97800	857800
	არაფინანსური აქტივები	22031	8000	20000
05 01	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	951679	1148500	1709100
	მომუშავეთა რიცხოვნობა	29	34	36
	ხარჯები	934831	1140500	1689100
	შრომის ანაზღაურება	660417	873600	1279732
	საქონელი და მომსახურება	247162	264100	406568
	სოციალური უზრუნველყოფა	24495	0	0
	სხვა ხარჯები	2757	2800	2800
	არაფინანსური აქტივები	16848	8000	20000
05 03	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა ამბულატორიული დახმარება	1003271	1155000	1740000
	ხარჯები	1003271	1155000	1740000
	სოციალური უზრუნველყოფა	953858	1105000	1680000



	სხვა ხარჯები	49413	50000	60000
05 03 01	კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევები	96685	0	0
	ხარჯები	96685	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	96685	0	0
05 03 02	მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევები	322390	0	0
	ხარჯები	322390	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	322390	0	0
05 03 04	ბავშვთა და მოზრდილთა რეაბილიტაცია	153362	145000	200000
	ხარჯები	153362	145000	200000
	სოციალური უზრუნველყოფა	153362	145000	200000
05 03 05	ინსტრუმენტული და ენდოსკოპიური გამოკვლევები	63650	0	165000
	ხარჯები	63650	0	165000
	სოციალური უზრუნველყოფა	63650	0	165000
05 03 06	კლინიკურ- ლაბორატორიული კვლევები	9028	140000	225000
	ხარჯები	9028	140000	225000
	სოციალური უზრუნველყოფა	9028	140000	225000
05 03 08	დასავლეთ საქართველოს რეგიონში კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევები	10000	0	0
	ხარჯები	10000	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	10000	0	0
05 03 09	ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგია	77815	150000	200000
	ხარჯები	77815	150000	200000
	სოციალური უზრუნველყოფა	77815	150000	200000
05 03 10	მხედველობის ორგანოს სკრინინგი	8550	10000	0
	ხარჯები	8550	10000	0
	სოციალური უზრუნველყოფა	8550	10000	0
	ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა			



05 03 11	დიაგნოსტიკა	13885	0	0
	ხარჯები	13885	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	13885	0	0
05 03 12	სისხლის მიმოქცევის დაავადებათა სკრინინგი	15470	0	0
	ხარჯები	15470	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	15470	0	0
05 03 13	რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა	10000	30000	40000
	ხარჯები	10000	30000	40000
	სოციალური უზრუნველყოფა	10000	30000	40000
05 03 14	ბავშვთა და ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის ხელშეწყობა	19665	0	0
	ხარჯები	19665	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	19665	0	0
05 03 15	ბიოფსია და მასთან დაკავშირებული გამოკვლევები	35835	0	0
	ხარჯები	35835	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	35835	0	0
05 03 16	აფხაზეთიდან დევნილთა მრავალპროფილური სკრინინგი	49413	50000	60000
	ხარჯები	49413	50000	60000
	სხვა ხარჯები	49413	50000	60000
05 03 17	ონკოპაციენტთა სამედიცინო მომსახურება	50317	100000	110000
	ხარჯები	50317	100000	110000
	სოციალური უზრუნველყოფა	50317	100000	110000
05 03 18	ბავშვთა აბილიტაცია	57456	40000	90000
	ხარჯები	57456	40000	90000
	სოციალური უზრუნველყოფა	57456	40000	90000
05 03 19	პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფიული გამოკვლევა (PET/CT)	9750	0	0
	ხარჯები	9750	0	0



	სოციალური უზრუნველყოფა	9750	0	0
05 03 20	მაღალტექნოლოგიური კვლევები	0	490000	570000
	ხარჯები	0	490000	570000
	სოციალური უზრუნველყოფა	0	490000	570000
05 03 21	მხედველობის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	0	0	80000
	ხარჯები	0	0	80000
	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	80000
05 06	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა სტაციონარული დახმარება	502169	550000	950000
	ხარჯები	502169	550000	950000
	სოციალური უზრუნველყოფა	502169	550000	900000
	სხვა ხარჯები	0	0	50000
05 06 01	დიაგნოსტიკისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	402717	500000	600000
	ხარჯები	402717	500000	600000
	სოციალური უზრუნველყოფა	402717	500000	600000
05 06 04	ჰიგიენური სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება	0	0	50000
	ხარჯები	0	0	50000
	სხვა ხარჯები	0	0	50000
05 06 07	გეგმიური კორონარული ანგიოგრაფია	41900	0	0
	ხარჯები	41900	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	41900	0	0
05 06 08	მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროთეზირება	57552	0	100000
	ხარჯები	57552	0	100000
	სოციალური უზრუნველყოფა	57552	0	100000
05 06 09	ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	0	25000	0
	ხარჯები	0	25000	0



	სოციალური უზრუნველყოფა	0	25000	0
05 06 10	საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება	0	25000	90000
	ხარჯები	0	25000	90000
	სოციალური უზრუნველყოფა	0	25000	90000
05 06 11	ვეტერანთა რეაბილიტაცია და დახმარება	0	0	70000
	ხარჯები	0	0	70000
	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	70000
05 06 12	განსაკუთრებულ შემთხვევათა და პათოლოგიათა მკურნალობის ხელშეწყობა	0	0	40000
	ხარჯები	0	0	40000
	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	40000
05 07	სამედიცინო პერსონალის გადამზადება	0	0	40000
	ხარჯები	0	0	40000
	სოციალური უზრუნველყოფა	0	0	40000
05 08	ა(ა)იპ აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტო	340962	380000	432705
	ხარჯები	335779	380000	432705
	სუბსიდიები	169316	190000	227705
	სოციალური უზრუნველყოფა	126011	145000	160000
	სხვა ხარჯი	40452	45000	45000
	არაფინანსური აქტივები	5183	0	0
05 08 01	აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაცია – მართვა	174499	190000	227705
	ხარჯები	169316	190000	227705
	სუბსიდიები	169316	190000	227705
	არაფინანსური აქტივები	5183	0	0
05 08 02	აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მედიკამენტებით მხარდაჭერა	14855	15000	15000
	ხარჯები	14855	15000	15000



	სოციალური უზრუნველყოფა	14855	15000	15000
05 08 03	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურება	100098	110000	125000
	ხარჯები	100098	110000	125000
	სოციალური უზრუნველყოფა	100098	110000	125000
05 08 04	სარიტუალო მომსახურების ანაზღაურება	9570	10000	10000
	ხარჯები	9570	10000	10000
	სხვა ხარჯი	9570	10000	10000
05 08 05	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა	21132	25000	25000
	ხარჯები	21132	25000	25000
	სხვა ხარჯი	21132	25000	25000
05 08 06	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები, მოქალაქეობის არმქონე პირთა სარეაბილიტაციო მომსახურება	2474	5000	0
	ხარჯები	2474	5000	0
	სოციალური უზრუნველყოფა	2474	5000	0
05 08 07	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება	9750	10000	10000
	ხარჯები	9750	10000	10000
	სხვა ხარჯი	9750	10000	10000
05 08 08	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა რეფერალური მომსახურების თანადაფინანსება	8584	15000	20000
	ხარჯები	8584	15000	20000
	სოციალური უზრუნველყოფა	8584	15000	20000
05 09	სამედიცინო დაწესებულებათა მოდერნიზაცია	0	0	1000000
	ხარჯები	0	0	1000000



	სუბსიდიები	0	0	300000
	სხვა ხარჯი	0	0	700000
06 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	6355594	7035820	8051939
	მომუშავეთა რიცხოვნობა	57	57	55
	ხარჯები	6288694	7003820	8036939
	შრომის ანაზღაურება	1338169	1523651	1645175
	საქონელი და მომსახურება	619550	635554	609046
	სუბსიდიები	3691711	4037500	4751678
	გრანტები	24680	5000	6000
	სოციალური უზრუნველყოფა	469132	501780	570500
	სხვა ხარჯები	145452	300335	454540
	არაფინანსური აქტივები	66900	32000	15000
06 01	განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1495498	1692250	1792972
	მომუშავეთა რიცხოვნობა	44	44	42
	ხარჯები	1478103	1675250	1782972
	შრომის ანაზღაურება	1088519	1249614	1337824
	საქონელი და მომსახურება	365757	398376	442148
	სოციალური უზრუნველყოფა	16782	0	0
	სხვა ხარჯები	7045	27260	3000
	არაფინანსური აქტივები	17395	17000	10000
06 02	ზემო აფხაზეთის რესურსცენტრის მართვა	113261	126400	114975
	მომუშავეთა რიცხოვნობა	5	5	5
	ხარჯები	112299	124400	114975
	შრომის ანაზღაურება	92176	101424	112975
	საქონელი და მომსახურება	20123	22976	2000
	არაფინანსური აქტივები	962	2000	0



06 03	გალის რაიონის რესურსცენტრის მართვა	214786	242000	253329
	მომუშავეთა რიცხოვნობა	8	8	8
	ხარჯები	213267	236000	253329
	შრომის ანაზღაურება	157475	172613	194376
	საქონელი და მომსახურება	55586	63162	58693
	სხვა ხარჯები	206	225	260
	არაფინანსური აქტივები	1519	6000	0
06 04	განათლების ხელშეწყობის პროგრამა	353009	362640	441860
	ხარჯები	353009	362640	441860
	საქონელი და მომსახურება	130976	121040	84060
	სუბსიდიები	73605	50000	50000
	გრანტები	0	0	6000
	სოციალური უზრუნველყოფა	17500	17500	25000
	სხვა ხარჯები	130928	174100	276800
06 04 01	სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება	72983	50000	56000
	ხარჯები	72983	50000	56000
	სუბსიდიები	68025	50000	50000
	გრანტები	0	0	6000
	სხვა ხარჯები	4958	0	0
06 04 02	წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა	109585	143000	130000
	ხარჯები	109585	143000	130000
	სხვა ხარჯები	109585	143000	130000
06 04 07	საგანმანათლებლო-შემეცნებითი ბანაკები	28710	37000	50000
	ხარჯები	28710	37000	50000
	საქონელი და მომსახურება	28710	37000	0
